

საკონკურსო განცხადება

აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება -

ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტი

„კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #3 ბრძანების საფუძველზე, აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტი (საიდენტიფიკაციო კოდი 245428700) აცხადებს კონკურსს 2 (ორი) სატელევიზიო სტუდიის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის სახელმწიფო შესყიდვის მიზნით.

კონკურსანტმა არაუგვიანეს 2013 წლის 13 თებერვლის 18 საათისა შემსყიდველის ადმინისტრაციულ მისამართზე: ბათუმი, მემედ აბაშიძის 41, დალუქულ პაკეტში უნდა წარმოადგინოს საკონკურსო წინადადება: **2 (ორი) სატელევიზიო სტუდიის დიზაინერული ესკიზი და სტუდიების მოწყობის მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვა არაუმეტეს 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარის თანხაზე** (ელექტრონული ვერსია CD დისკზე ან შემსყიდველის ელექტრონულ მისამართზე: ajaratv2013@yahoo.com).

თოქ-შოუს სტუდია:

სტუდია განკუთვნილია ორი ერთმანეთის მსგავსი პროექტისათვის – საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუ და დარგობრივი თოქ-შოუ. მაგიდასთან სხედან გადაცემის წამყვანი და 1-4 სტუმარი.

სტუდია დეკორაციების, ან განათების (მაგალითად დიოდური განათების) ფერების შეცვლით უნდა იღებდეს 7 (შვიდ) სხვადასხვა ხასიათს სატელევიზიო პროექტის შესაბამისად.

1. საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუ;
2. დარგობრივი თოქ-შოუ სოფლის მეურნეობის შესახებ;
3. დარგობრივი თოქ-შოუ განათლების სისტემის შესახებ;
4. დარგობრივი თოქ-შოუ კულტურული ცხოვრების შესახებ;
5. დარგობრივი თოქ-შოუ სპორტის შესახებ;
6. დარგობრივი თოქ-შოუ იურისპრუდენციის შესახებ;
7. დარგობრივი თოქ-შოუ მედიცინის შესახებ;

შენიშვნა: თოქ-შოუს სტუდია უნდა მოეწყოს დაშტრიხულ ზონაში (იხილეთ ნახაზი). პოლიუმი დაფარულია შავი გრანიტით. მიზანშეწონილია სტუდიაში დარჩეს იგივე იატაკი.

იმავე დარბაზში განთავსებულია საინფორმაციო გამოშვების სტუდია, რომლის ექსპლუატაციაც გაგრძელდება თოქ-შოუს სტუდიის მოწყობის სამუშაოების განმავლობაში.

აუდიტორული სტუდია.

სტუდია განკუთვნილია ორი პროექტისათვის – პრესკონფერენცია\ბრიფინგი (წამყვანით, ან წამყვანის გარეშე) და არაპოლიტიკური ლექცია-საუბრები (წამყვანის გარეშე), ასევე დამატებით საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუსათვის პოლიტიკური ცხოვრების გააქტიურების შემთხვევაში. სტუდიაში წამყვანისა და მთავარი რესპოდენტების ადგილის გარდა გათვალისწინებული უნდა იყოს სკამები დაახლოებით 20 დამსწრე პირისათვის.

განსაკუთრებული მთხოვნა აქვს სატელევიზიო პროექტს – ლექცია-საუბრებს, რაც ხელს არ უშლის სხვა პროექტისათვის სტუდიის გამოყენებას. ეს მთხოვნებია – შუშის დაფა რესპოდენტის უკან, რომელზედაც მარკერით შესაძლებელი იქნება წარწერის გაკეთება, დაფის უკან განთავსდება ერთი კამერა. რესპოდენტისათვის უნდა იყოს მაგიდა და ტრიბუნა, იქვე უნდა იყოს მონიტორი.

შენიშვნა: აუდიტორული სტუდია მიზანშეწონილია განთავსდეს შესასვლელი კარის მარცხნივ. დანარჩენი კარი და ფანჯარა შესაძლოა დაილუქოს (იხილეთ ნახაზი).

საკონკურსო წინადადებას უნდა ახლდეს საფასურის გადახდის ქვითარი, მოკლე აღწერა ანალოგიური გამოცდილებისა და სპეციალისტების კვალიფიკაციის შესახებ.

გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა მოხდება შემდეგი კრიტერიუმით:

შეფასების 10 ბალიანი სისტემა;

პრიორიტეტულობის კოეფიციენტი: დიზაინერული ესკიზი 0.7;

მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვა 0.3.

გამარჯვებული გამოვლინდება 2013 წლის 14 თებერვალს 17 საათზე.

გამარჯვებულ კონკურსანტთან გაფორმდება სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება შემდეგი აუცილებელი პირობებით:

ა) ხელშეკრულების ღირებულება - 4 000 (ოთხი ათასი) ლარი;

ბ) მომსახურების გაწევის - საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღე;

გ) ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის - პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ის ოდენობით; დაგვიანებით შესრულებისათვის - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ჯამური ღირებულების 0.3%-ის ოდენობით;

დ) თუ ჯარიმების ოდენობა გადააცილებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.